**შპს ევროპის უნივერსიტეტის რექტორის**

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

**თბილისი**

EU 00007850

31/08/2021

**შპს ევროპის უნივერსიტეტში**
**2021 – 2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის**
**შიდა მობილობის ვადების**
**დავაკანტური ადგილების განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 04 თებერვლის №10-ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის, ევროპის უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №94 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-15 მუხლის, ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის ნინო გადილიას 2021 წლის 31 აგვისტოს (რეგისტრაციის N 7785), სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მარიამ ბოჭორიშვილის 2021 წლის 24 აგვისტოს (რეგისტრაციის № 7398), მედიცინის ფაკულტეტის დეკანის ნათია ჯოჯუას 2021 წლის 30 აგვისტოს (რეგისტრაციის № 7780) სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე,

**ვბრძანებ**:

1. გამოცხადდეს 2021 – 2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შიდა მობილობა შპს ევროპის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე (სტუდენტთა განცხადებების წარმოდგენა) 2021 წლის 1 სექტემბრიდან 2021 წლის 6 სექტემბრის ჩათვლით.
2. განისაზღვროს შიდა მობილობის წესით დარეგისტრირებული სტუდენტების კრედიტების აღიარების ვადად არაუგვიანეს 2021 წლის 8 სექტემბრისა.
3. განისაზღვროს შიდა მობილობის წესით სტუდენტების მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის შესახებ რექტორის სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად 2021 წლის 9 სექტემბრი;
4. შპს ევროპის უნივერსიტეტში შიდა მობილობით მისაღებ სტუდენტთა ვაკანტური ადგილების რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით განისაზღვროს ამ ბრძანების დანართი №1 - ის შესაბამისად;
5. განისაზღვროს რექტორის სამართლებრივი აქტის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის მიწოდების ვადად არაუგვიანეს 2021 წლის 15 სექტემბრისა.

6. მედიცინის ფაკულტეტზე შიდა მობილობით გადასული სტუდენტებისთვის აკადემიური რგისტრაციის ვადად განისაზღვროს 10-11 სექტემბერი;
7. მედიცინის ფაკულტეტზე დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობით გადასული სტუდენტებისთვის წლიური სწავლის საფასური განისაზღვროს 5000 დოლარით (ექვივალენტი ლარში), ხოლო სტომატოლოგიის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე 3500 დოლარით (ექვივალენტი ლარში);
8. დაევალოს კონტროლი ბრძანების შესრულებაზე შესაბამის ფაკულტეტების დეკანებს.
9. დაევალოს ინფორმაციის განთავსება უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურს.
10. დაევალოს საქმისწარმოების სამსახურს კანონმდებლობის შესაბამისად დაინტერესებულ პირთათვის ბრძანების გაცნობა.
11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ევროპის უნივერსიტეტი
რექტორი
ტალიაშვილი ნინო

ნ. ტალიაშვილი